თქმულება გეორგიოს ქრისოგონოსისა ტრაპეზუნტიდან მიტროპოლიტ ანთიმოზ ივერიელის შესახებ - ბუქარესტი, 1709[1]

პოლიტიკური შესხმა-ლექსები ყოვლადუწმინდესისა და
უსწავლულესის, უნგროვლახეთის უწმინდესი მეტროპოლის
ღვთისაგან ხელდასხმული მიტროპოლიტის
- უფალი, უფალი ანთიმოზ ივერიელის მიმართ.

შენ, ვინც უბრძენეს ბერძენთა თქმულთაგან შეარჩიე
ისტორიანი რჩეულნი - გამოცანებით სავსე,
წიგნთაგან გამოკრიბე და მათშივე განარჩიე
ჭეშმარიტება, რომელიც ცხადი გახადე წამსვე -
რომელზეც ძველი ბრძენები ჰყვებოდენ შეფარულად -
ამ ლექსებს მადლიერებით მოგიძღვნი და სიმდაბლით
შეგაქებ შენ - ჩემს ბატონს და მეურვეს მე - კრძალულად,
ყოვლადუწმინდესს და ყოვლად განსაწვლულს დიდად გმადლობ -
შენ ღმერთისაგან ხელდასხმულ ჩვენს დიდ, ღვთაებრივ მამას,
სრულიად უნგროვლახეთის მიტროპოლიტს და შემწეს -
ანთიმოზ ივერიელს, ვინც ყველას გვეგულვის მამად
მრავალთა კეთილისმოქმედს და სახელგანთქმულს - შენ გწერ.
შენი მახვილი გონების შესახებ, შენი ცოდნის
შესახებ, ყველგან რომ გიჭრის და უნეტარეს აზრთა
შესახებ, წყალობას რომ ჰგვრის მსმენელებს მისას ოდით,
მაგ ხასიათის სილაღის და სიხალისის ამბავს,
ენაწყლიანი საუბრით მსმენელთა ყურს რომ აბამს
გახარებთ ყველას, ვისაც არ გამოგიცდიათ, მოდით.
ვიქმნები მათ გულმხურვალე და დაუღალავ მაცნედ,
შენს ათასობით სხვა მადლსაც ვადიდებ მთელი ძალით.
თუ ვით შეიმკო ღვთიური გვირგვინით - ამას ვამცნობ -
ჩემო მამავ და კეთილისმოქმედო, შენი თავი.
ო, საცხოვრისო ღვთიურო ყოველთა სიქველეთა,
ო, სამკაულო წმინდანთა და დიდო სიქადულო,
ო, საამაყო ყვავილო უნგროვლახეთის ველთა,
ზარდახშავ სურნელებათა ყოველთა წმინდა სულის,
რომელსაც ხელში გიპყრია თარი და სიხარულით

უმუზებოდ და გარეშე ხელოვნებათა ლაღობ.

გთხოვ, შენს მონას და ამ ლექსის გულმოდგინებით დამწერს,

რომელსაც გიძღვნის მხურვალედ მთელი სულით და გულით,
შენ ყოვლად პატივსაცემს და კეთილის მოქმედს, აწვე
მოჰხედო შენი ლოცვებით და შენი სიყვარულით -
სულიერით და გულიდან გარდამოსულით, რადგან
ესაა ჩემთვის სიმდიდრე - ტალანტმრავალი, უხვი,
ესაა ჩენთვის მეფეთა - კროისოსის თუ სხვათა -
პრიამოსის და ფრიგიელ მიდასის საგანძური.
შენ კი, ო სამგზის მზიანო, გამძღოლო სინათლეო,
ნათელო გონისმიერო, მიზეზო ყოველ არსთა,
ბედნიერება, სიკეთე მიეც სრული და მთელი
ჩემს სახელოვან ბატონს და არ გააკარო მასთან
ახლოს ცუდი და ბოროტი შემთხვევა, ამას გვედრი.

თავისთავად, ეს დისტიქი საგმირო ელეგიაა.

არა მხოლოდ ყოვლადსაუკეთესო იერარქი გიწოდოს ვინმემ,
არამედ შვილთათვის უსაყვარლესი მამაც ხარ.

თქვენი ღვთისაგან გამორჩეული უწმინდესობის
მდაბალი მონა
გეორგიოს ტრაპეზუნტელი.

კომენტარები:

---

[1] ბერძნული ხელნაწერი ტექსტი“ Μαρτυρία του Γεωργίου Χρυσογόνου Τραπεζούντιου7 για τον Μητροπολίτη Άνθιμο Ιβηρίτη - Βουκουρέστι, 1709“ დაცულია ნომრით N705 (ძველი აღრიცხვით - N345), BAR ფონდის 166r-167r ფურცლები (გამოუცემელი).
ტექსტი შენახულია ათენის აკადემიის ბიბლიოთეკაშიც, სიდერიდისის ფონდში, ბერძნული ხელნაწერი N10, 3-5 ფურცლები (გამოუცემელი). Ελληνικό χειρόγραφο αρ.705 (345 σύμφωνα με την παλιά ταξινόμηση), φφ.166r-167r της συλλογής BAR (ανέκδοτο). Το κείμενο διασώζεται και στη Βιβλιοθήκη της Ελληνικής Ακαδημίας των Αθηνών, συλλογή Σιδερίδης, Ελληνικό χειρόγραφο αρ.10, φφ.3-5 (ανέκδοτο).
ბერძნულიდან თარგმნა თათია მთვარელიძემ.